

შპს „გამა +“ (საინდეტიფიკაციო # 206178483)

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „გამა+“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2005 წლის 30 მარტს, რეგისტრაციის #7/4-2987, საინდეტიფიკაციო ნომრით: 206178483.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, მათ შორის ნავთობ-პროდუქტების, ბუნებრივი და თხევადი აირის შესყიდვა, შემოტანა და რეალიზაცია;
- ავტო გასამართი სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება;
- ტექნიკური მომსახურების სადგურებისა და ავტომობილების სერვისული მომსახურების ობიექტების მოწყობა;
- ყველა სახის სავაჭრო ოპერაციების განხორციელება, ექსპორტ-იმპორტი;
- სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. ორგანიზაციის მიერ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მესამედ.

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საწარმო წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული

აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მის ფასს-ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2019 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

2.9. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;

2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);

2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან

დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- 2.12. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საპენსიო გადასახადი (ასაკის მიხედვით) და საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. ორგანიზაციის საწესდები კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- 2.18. მოგების განაწილება ხდება წილობრივი მონაწილეობის მიხედვით დამუშნებელთა კრების ოქმით. დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები და ერთი ადგილობრივი იურიდიული პირი. შესაბამისად, გადასახადების გადახდის შემდეგ, აიცემა დივიდენდი;
- 2.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

2.20. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

2.21. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს ((შენიშვნებით);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა 31.12.2020

ფინანსური მდგომარეობა	შტატი	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	146 482,00	104 408,00
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	2	116 449,00	71 701,00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2	8 887,00	3 967,00
მარაგები	3	55 516,00	88 749,00
სხვა არამატერიალური აქტივები	4	-	914,00
ძირითადი საშუალებები	4	835 207,00	911 371,00
სულ აქტივები		1 162 541,00	1 181 110,00
ვალდებულებები			
საფაქრო ვალდებულებები	5	209 738,00	43 236,00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5	-	197,00
საგადასახადო ვალდებულებები	6	115 449,00	146 987,00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	7	-	99 953,00
სხვა ვალდებულებები	8	205 680,00	340 429,00
სულ ვალდებულებები		530 867,00	630 802,00
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	9	2 000,00	2 000,00
გაუნაწილებელი მოგება	9	629 674,00	548 308,00
სულ საკუთარი კაპიტალი		631 674,00	550 308,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 162 541,00	1 181 110,00

შპს "გამა +" -ის დირექტორი:

/დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი:

/ლ. აბრამიშვილი/



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9 393 145,00
	<i>სულ შემოსავალი</i>	<i>9 393 145,00</i>
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	312 231,00
2	გადახდილი დივიდენდები	134 734,00
3	ფ/პ-ის მიერ გაწეული მომსახურება	600,00
4	გადახდილი გადასახადები	1 806 647,00
5	სესხის გადახდა	105 227,00
6	გადახდილი %	2 972,00
7	ბანკის მომსახურების ხარჯი, საკურსო სხვაობა	15 847,00
8	შემენილი საქონლის ღირებულება	5 979 396,00
9	იჯარა	33 845,00
10	კომუნალური გადასახადები; კომუნიკაცია (წყალი, ელექტროენერგია; დასუფთავება)	367 349,00
11	გამა ქარდის ღირებულება	167 007,00
12	დაცვა	30 120,00
13	საკანცელარიო, საოფისე, ნოტარიალური ხარჯი	1 637,00
14	დაზღვევა	1 960,00
15	მომსახურება გაზის ტრანსპორტირებაზე	147 247,00
16	აუდიტორული მომსახურება	6 000,00
17	სხვა ხარჯი	238 252,00
	<i>სულ გასავალი</i>	<i>9 351 071,00</i>
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	104 408,00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	146 482,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/დ. ჩაბტაური/

/ლ. აბრამიშვილი/

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის შეზღოვების ბარჯის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2020
შემოსავლები	
საქონლის გაყიდვიდან	6 622 820,00
მომსახურების გაწევიდან	44 150,00
სხვა	34 856,00
ჯამი	6 701 826,00
ბარჯები	
გაყიდვების თვითღირებულება	- 5 320 536,00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 388 906,00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 106 290,00
საპროცენტო ხარჯი	- 2 835,00
ოჯარის ხარჯი	- 32 503,00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 745 538,00
საოპერაციო ხარჯები	- 6 596 608,00
საოპერაციო მოგება	105 218,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:

მო. ბუღალტერი:



(Handwritten signature)

/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 1 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2020 წ.
	თანხა საბანკო ანგარიშზე	25 803,00
	ნაღდი ფული საღაროში ლარებში	120 679,00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	146 482,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 2 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

#	დასახელება	31.12.2020წ.
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	116 449,00
2	გადახდილი ავანსები	8 887,00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	125 336,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:

/დ. ჩაბტაური/

/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 3 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები


#	დასახელება	31.12.2020 წ.
1	საქონელი	28 522,00
2	ნედლეული და მასალა	26 994,00
		55 516,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:



/დ. ჩაბტაური/

მთ. ბუღალტერი:



/ლ. აბრამიშვილი/

შენიშვნა 4 - ფიქსირებული აქტივები

ბალანსი 31 დეკემბერი 2019 წელი	912 285,00
მიწის ნაკვეთები	180 686,00
დაუმთავრებელი მშენებლობა	3 687,00
შენობა-ნაგებობები	182 501,00
მანქანა-დანადგარები	534 230,00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	10 267,00
არამატერიალური აქტივები	914,00
ნაშთი 31 დეკემბერი 2020 წელი	835 207,00
მიწის ნაკვეთები	180 686,00
დაუმთავრებელი მშენებლობა	3 687,00
შენობა-ნაგებობები	157 675,00
მანქანა-დანადგარები	484 988,00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	7 335,00
არამატერიალური აქტივები	836,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



[Handwritten signature]

/დ. ჩაბტაური/

[Handwritten signature]

/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 5 - სავაჭრო ვალდებულებები


#	დასახელება	31.12.2020 წ.
1	შპს ჯორჯიან პეტროლიუმ დისტრიბუშნ	7 668,00
2	შპს GLG-GROUP	725,00
3	შპს ენერგო-პრო ჯორჯია	22 955,00
4	შპს კენტავრი	59,00
5	შპს გამა	4 347,00
6	შპს გაზ თრეიდიנגი	146 359,00
7	შპს ცისარტყელა	14 927,00
8	შპს დაირექტ დეპიტ ჯორჯია	600,00
9	გაზის ტრანსპორტირების კომპანია	12 098,00
		209 738,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:



/დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი:



/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2020 წ.
1	საგადასახადო ვალდებულებები	115 449,00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	115 449,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:

/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 7 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2020 წ.
1	სესხი თიბისი ბანკიდან	-
2	სესხი ფიზიკური პირისგან	-
	სულ სასესხო ვალდებულებები	-

შპს "გამა+"-ის დირექტორი:



/დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი:



/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 8 - სხვა ვალდებულებები (გასაცემი დივიდენდი)

#	დასახელება	31.12.2020წ.
1	ფიზიკური პირები	-
2	შპს ჰოლდინგი საქ. ინდუსტრიული ჯგუფი	205 680,00
	სულ	205 680,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი/

შპს "გამა+" (ს/კ 206178483)

შენიშვნა 9 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის			
1	მდგომარეობით	548 308,00	2 000,00	550 308,00
2	მოგება	81 366,00	-	81 366,00
5	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის			
	მდგომარეობით	629 674,00	2 000,00	631 674,00

შპს "გამა+"-ის დირექტორი:

/დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი:

/ლ. აბრამიშვილი/



